

შპს „გაგრა“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „გაგრა+“

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. მარაგები	17
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
7. ძირითადი საშუალებები	17
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
9. ამონაგები	18
10. რეალიზაციის თვითღირებულება	18
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18
12. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	19
13. გაუთვალისწინებელი გარემოებები	19
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გაგრა“-ს ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გაგრა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი – 250724284) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიისა და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2024 და 2023 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 7,490,714 (2023: 8,769,844) ლარის ღირებულებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2024 და 2023 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ძირითადი საშუალებების რაოდენობის და ღირებულების სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 1,662,968 (2023: 1,635,884) ლარის ღირებულებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შესადარისი ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად, მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან. ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის

გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.


ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

17 თებერვალი 2026

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)

The image shows a handwritten signature in blue ink over a horizontal line. To the right of the signature is a blue circular stamp. The stamp contains the text "საპროექტო შპს 'ინოქსი'" (Project LLC 'Innox') around the top edge, "INNOX" in the center, and "GEORGIA 404539674 LLC" around the bottom edge.

ირაკლი ჭილაძე
გარიგების პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი- SARAS-A-509177

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გაგრა“-ს ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გაგრა“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი – 250724284) (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიისა და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2024 და 2023 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 7,490,714 (2023: 8,769,844) ლარის ღირებულებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2024 და 2023 წლის ბოლოს კომპანიის მიერ ჩატარებულ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ძირითადი საშუალებების რაოდენობის და ღირებულების სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 1,662,968 (2023: 1,635,884) ლარის ღირებულებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შესადარისი ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად, მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან. ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის

გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

17 თებერვალი 2026

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)

ირაკლი ჭილაძე
გარიგების პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი- SARAS-A-509177

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები მოცემულია ლარში)

	შენ.	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	7,490,714	8,769,844
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,059,619	2,426,206
საგადასახადო აქტივი		51,925	36,681
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	415,642	924,303
სულ მიმდინარე აქტივები		11,017,900	12,157,034
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,662,968	1,635,884
არამატერიალური აქტივები		6,675	6,675
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		1,669,643	1,642,559
სულ აქტივები		12,687,543	13,799,593
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	1,959,608	1,144,086
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		1,959,608	1,144,086
კაპიტალი და რეზერვები			
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		10,727,935	12,655,507
კაპიტალის და რეზერვების ჯამი		10,727,935	12,655,507
კაპიტალის და ვალდებულებების ჯამი		12,687,543	13,799,593

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 7-20 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2026 წლის 17 თებერვალს.

კონსტანტინე ჯღარკავა

დირექტორი

ნინო ჯიმშელია

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები მოცემულია ლარში)

	შენ.	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	4	7,490,714	8,769,844
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	3,059,619	2,426,206
საგადასახადო აქტივი		51,925	36,681
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	6	415,642	924,303
სულ მიმდინარე აქტივები		11,017,900	12,157,034
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,662,968	1,635,884
არამატერიალური აქტივები		6,675	6,675
გრძელვადიანი აქტივების ჯამი		1,669,643	1,642,559
სულ აქტივები		12,687,543	13,799,593
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	1,959,608	1,144,086
მიმდინარე ვალდებულებების ჯამი		1,959,608	1,144,086
კაპიტალი და რეზერვები			
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		10,727,935	12,655,507
კაპიტალის და რეზერვების ჯამი		10,727,935	12,655,507
კაპიტალის და ვალდებულებების ჯამი		12,687,543	13,799,593

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება და თანდართული განმარტებითი შენიშვნები 7-20 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2026 წლის 17 თებერვალს.

კ. ჭოსყუა

კონსტანტინე ჯღარკავა

დირექტორი

ნინო ჯიმშელია

ფინანსური დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები მოცემულია ლარში)

	შენ.	2024	2023
ამონაგები	9	25,374,326	23,475,808
რეალიზაციის თვითღირებულება	10	(17,617,340)	(14,950,777)
საერთო მოგება		7,756,986	8,525,031
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(3,793,624)	(3,535,740)
საოპერაციო მოგება		3,963,362	4,989,291
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი(წმინდა)		123,048	204,436
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		4,086,410	5,193,727
მოგების გადასახადი		(902,097)	(698,161)
წლის მოგება/(ზარალი)		3,184,313	4,495,566
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი		3,184,313	4,495,566

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები მოცემულია ლარში)

	განთავსებული კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	12,116,187	12,116,187
პერიოდის შედეგი	-	4,495,566	4,495,566
გაცემული დივიდენდი	-	(3,956,246)	(3,956,246)
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	12,655,507	12,655,507
პერიოდის შედეგი	-	3,184,313	3,184,313
გაცემული დივიდენდი	-	(5,111,885)	(5,111,885)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	10,727,935	10,727,935

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები მოცემულია ლარში)

	2024	2023
წლის შედეგი	3,184,313	4,495,566
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	156,538	144,654
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	3,340,851	4,640,220
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(633,413)	(371,682)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	815,522	(1,621,296)
ცვლილება გადახდილი ავანსებში	(15,244)	(12,548)
ცვლილება მარაგებში	1,279,130	1,469,730
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	4,786,846	4,104,424
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების შეძენისთვის გადახდილი ფული	(183,622)	(245,124)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	(183,622)	(245,124)
საფინანსო საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდი	(5,111,885)	(3,956,246)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფული	(5,111,885)	(3,956,246)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)	(508,661)	(96,946)
წლის დასაწყისში	924,303	1,014,343
უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ეკვივალენტებში	-	6,906
წლის ბოლოს	415,642	924,303

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გაგრა+“ (შემდგომში – „კომპანია“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 250724284). კომპანია საქმიანობას ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომპანია დაფუძნდა 2003 წლის 23 იანვარს და წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. მისი იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი №172, ხოლო ფაქტობრივი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვასო გომიშვილის №42.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება, ხოლო კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და პარტნიორია:

- გეორგი მანაგაძე (პირადი ნომერი: 62007005260).

კომპანიის დირექტორია:

- კონსტანტინე ჯღარკავა (პირადი ნომერი: 58001032932).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. პირვანდელი ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა გარკვეულ შეფასებებს.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
საშუალო კურსი 2024	2.7208	2.9440
საშუალო კურსი 2023	2.6279	2.8416

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით

ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში იბეგრება მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ მიხედვით, რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. დაბეგვრის ეს მოდელი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზატორი პირებისა).

აღნიშნული მოდელის შესაბამისად, მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ იბეგრებიან მოგების გადასახადით „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად დანიშნულებისამებრ. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი წლიური ცვეთის ნორმა

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 7-8 წელი;
ავეჯი და სხვა ინვენტარი - 5 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები - 7-8 წელი;
მანქანა-დანადგარები - 7-8 წელი;
ოფისის აღჭურვილობა - 3-5 წელი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილ ფასთა მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები. კომპანია აღიარებს ამონაგებს დროის კონკრეტულ მომენტში.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წესდებით განსაზღვრული კაპიტალი

წესდებით განსაზღვრული კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც განთავსებული კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

გადაფასებული შენობა-ნაგებობებისთვის ხელახლა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და განსაზღვრა.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
საქონელი	6,799,355	8,078,597
მზა პროდუქცია	366,061	365,947
სხვა	325,298	325,300
სულ	7,490,714	8,769,844

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	2,725,131	2,139,230
სხვა მოთხოვნები	334,488	286,976
სულ	3,059,619	2,426,206

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	130,951	158,444
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	284,691	765,859
სულ	415,642	924,303

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული დრეზულე ბა	მიწის ნაკვეთ ები	მანქანა- დანადგ არები	ოფისის აღჭურვი ლობა	ავეჯი და ინვენტა რი	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	ქონების კეთილმ ოწყობა	სხვა	სულ
31.12.2022	98,665	525,126	229,899	377,195	276,519	113,815	2,287	1,623,506
შემოსვლა	19,480	123,554	43,407	59,411			3,983	249,835
გასვლა	-	(3,969)	(742)	-	-	-	-	(4,711)
31.12.2023	118,145	644,711	272,564	436,606	276,519	113,815	6,270	1,868,630
შემოსვლა	29,676	1,343	32,993	41,163	74,500	3,947	-	183,622
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31.12.2024	147,821	646,054	305,557	477,769	351,019	117,762	6,270	2,052,252

დაგროვილი ცვეთა

31.12.2022	-	20,954	30,178	18,392	18,568	-	-	88,092
ცვეთა	-	64,471	13,628	21,830	27,652	17,072	-	144,654
31.12.2023	-	85,425	43,806	40,222	46,220	17,072	-	232,746
ცვეთა	-	64,605	15,278	23,888	35,102	17,664	-	156,538
31.12.2024	-	150,031	59,084	64,111	81,322	34,737	-	389,284

წმინდა საბალანსო
ღირებულება

31.12.2023	118,145	559,286	228,758	396,384	230,299	96,743	6,270	1,635,884
31.12.2024	147,821	496,024	246,473	413,658	269,697	83,025	6,270	1,662,968

კომპანიის საკუთრებაში ძირითადი საშუალებები არ წარმოადგენს რაიმე ვალდებულების უზრუნველყოფის საგანს.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულება	1,158,627	383,468
გადასახდელი ხელფასები	545,379	544,251
სხვა	255,602	216,367
სულ	1,959,608	1,144,086

9. ამონაგები

	2024	2023
ამონაგები პროდუქციის რეალიზაციიდან	25,434,427	23,522,798
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	(60,101)	(46,990)
სულ	25,374,326	23,475,808

10. რეალიზაციის თვითღირებულება

	2024	2023
მასალების ხარჯები	17,517,633	14,858,654
ცვეთის ხარჯი	99,707	92,123
სულ	17,617,340	14,950,777

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	2,731,467	2,342,001
იჯარის ხარჯი	321,841	206,927
მომსახურების ხარჯები	228,155	327,390
კომუნალური ხარჯები	101,646	71,164
დაზღვევა	86,555	81,337
ბანკის ხარჯები	65,279	45,223
ცვეთის ხარჯი	56,831	52,531
რემონტის ხარჯი	25,493	242,857
საგადასახადო ხარჯები	6,975	3,931
სხვა	169,382	162,379
სულ	3,793,624	3,535,740

12. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი; აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

უმაღლესი ხელმძღვანელი პირები	2024	2023
ხელფასის ხარჯები	181,489	94,966

13. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანიას სასამართლო დავები არ ჰქონია.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ გასცა 2,972,395 ლარის დივიდენდი.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რაც უნდა გამჟღავნებულიყო ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „გაგრა+“ ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2026 წლის 17 თებერვალს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.

G AGRA გაგრა+

მმართველობის ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა

1.1. კომპანიის შესახებ

შპს „გაგრა+“ (შემდგომში – „კომპანია“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 250724284). კომპანია საქმიანობას ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომპანია დაფუძნდა 2003 წლის 23 იანვარს და წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. მისი იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი №172, ხოლო ფაქტობრივი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვასო გომიაშვილის №42.

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება, ხოლო კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და პარტნიორია:

- გეორგი მანაგაძე (პირადი ნომერი: 62007005260).

კომპანიის დირექტორია:

- კონსტანტინე ჯღარკავა (პირადი ნომერი: 58001032932).

1.2 კომპანიის საქმიანობა

შპს „გაგრა+“ წარმოადგენს მრავალპროფილურ კომპანიას, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საკონდიტრო და გასტრონომიული ინგრედიენტების იმპორტის, კვების პროდუქტების წარმოების, დისტრიბუციისა და საბითუმო ვაჭრობის მიმართულებით. კომპანიის ოპერაციული საქმიანობა მოიცავს საკვები ინგრედიენტების, არომატიზატორების, კონცენტრატების გასტრონომიული და საკონდიტრო ნაწარმის იმპორტს, წარმოებასა და რეალიზაციას, ასევე პროდუქციის დასაწყობებასა და შენახვას.

კომპანიის საქმიანობა აგებულია სტაბილურ ოპერაციულ პროცესებზე და ორიენტირებულია პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფაზე, მიწოდების უწყვეტობაზე და პარტნიორებთან გრძელვადიან თანამშრომლობაზე. მოქმედი ინფრასტრუქტურა და ორგანიზაციული რესურსები კომპანიას საშუალებას აძლევს ეფექტიანად მართოს წარმოების, ლოგისტიკისა და სავაჭრო პროცესები.

კომპანია 2003 წლიდან დღემდე მუდმივად მუშაობს ოპერაციული შესაძლებლობების განვითარებაზე, პროცესების გაუმჯობესებასა და ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციაზე, რაც ხელს უწყობს მისი საქმიანობის მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

1.3. ფილიალების საქმიანობა

შპს „გაგრა+“ ფილიალები ახორციელებენ მრავალპროფილურ ოპერაციულ საქმიანობას, რომელიც მოიცავს საკონდიტრო და გასტრონომიული ნაწარმის საბითუმო ვაჭრობას, კვების პროდუქტების წარმოებას, პროდუქციის დასაწყობებასა და შენახვას, ასევე დისტრიბუციას.

ფილიალების საქმიანობა ორიენტირებულია წარმოებისა და ლოგისტიკური პროცესების ეფექტიან მართვაზე, პროდუქციის ხარისხის სტანდარტების დაცვაზე და მიწოდების პროცესების უწყვეტ

უზრუნველყოფაზე. არსებული ინფრასტრუქტურა და ოპერაციული რესურსები კომპანიას საშუალებას აძლევს დროულად და ეფექტურად მოემსახუროს პარტნიორებსა და კორპორატიულ კლიენტებს.

ფილიალების ფუნქციონირება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კომპანიის ოპერაციული შესაძლებლობების გაფართოებას, სასაწყობო და დისტრიბუციული ქსელის გამყარებას და ბაზარზე პოზიციების გაძლიერებას.

ამჟამად კომპანიას დარეგისტრირებული აქვს 8 ფილიალი.

საქმიანობის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2.1. თანამშრომლები და შრომის უსაფრთხოება

კომპანიის გუნდი დაკომპლექტებულია შესაბამის სფეროებში პროფესიული გამოცდილების მქონე კადრებით, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ პროფესიული კომპეტენციისა და დარგობრივი ცოდნის საფუძველზე. თანამშრომლებს გააჩნიათ პრაქტიკული გამოცდილება მათ პროფესიულ მიმართულებებში, რაც უზრუნველყოფს სამუშაო პროცესების ეფექტიან და ხარისხიან შესრულებას.

ამჟამად კომპანიაში დასაქმებულია 59 თანამშრომელი.

კომპანია ორიენტირებულია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და აქტიურად უწყობს ხელს მათ პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით, თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა და უნარები მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სფეროებში, რაც ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალურ პროფესიულ ზრდას, ისე კომპანიის ოპერაციული პროცესების გაუმჯობესებას.

კომპანია უზრუნველყოფს სტაბილურ და ორგანიზებულ სამუშაო გარემოს, რომელიც მორგებულია თანამშრომელთა საჭიროებებსა და საქმიანობის სპეციფიკას. სამუშაო სივრცეები, მათ შორის სასაწყობო და საოფისე ინფრასტრუქტურა, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებსა და მოქმედ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

შრომის უსაფრთხოების მიმართულებით კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უსაფრთხო სამუშაო პირობების დაცვას, რისკების პრევენციას და თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც წარმოადგენს კომპანიის შიდა პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

2.2. კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევისა და განვითარების მიმართულებას, რაც უკავშირდება როგორც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ისე ოპერაციული პროცესების დახვეწასა და ეფექტიანობის ზრდას. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევისა და განვითარების ღონისძიებები კონცენტრირებულია წარმოების პროცესების ოპტიმიზაციაზე, პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესებაზე და ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

კომპანია მუდმივად მუშაობს არსებული ტექნოლოგიური და ორგანიზაციული პროცესების გაუმჯობესებაზე, რაც მოიცავს წარმოებისა და დასაწყობების პროცესების დახვეწას, ლოგისტიკური ჯაჭვის გაუმჯობესებას და დისტრიბუციული საქმიანობის ეფექტიან მართვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის სტაბილურობას და მიწოდების პროცესების უწყვეტობას.

კვლევისა და განვითარების ფარგლებში კომპანია ასევე ორიენტირებულია თანამშრომელთა პროფესიული ცოდნის გაღრმავებაზე და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებაზე, რაც ხელს უწყობს

ახალი მიდგომების დანერგვას, სამუშაო პროცესების გაუმჯობესებას და კომპანიის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას ბაზარზე.

2.3. ფინანსური მაჩვენებლები

2.4. საკუთარი აქციების გამოსყიდვა

კომპანიის ერთადერთ აქციონერს 2003 წლიდან წარმოადგენს გეორგი მანაგაძე, შესაბამისად 2024 წლის განმავლობაში კომპანიას არ გამოუსყიდია აქციები და არც მომავალში გეგმავს.

2.5. რისკები და მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობა სრულად არის პასუხისმგებელი რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბებასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე. რისკების მართვა მოიცავს ძირითადი რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შესაბამისი საკონტროლო მექანიზმების დანერგვასა და რეგულარულ მონიტორინგს. კომპანიის საქმიანობაში ან საბაზრო გარემოში არსებითი ცვლილებების შემთხვევაში, რისკების მართვის პროცედურები პერიოდულად გადაიხედება და ახლდება.

რისკების მართვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შიდა პროცესების გამჭვირვალობასა და თანამშრომელთა ინფორმირებულობას. შესაბამისი შიდა პროცედურებისა და სამუშაო პრაქტიკის მეშვეობით ფორმირდება ორგანიზებული და დისციპლინირებული სამუშაო გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული თავისი როლი და პასუხისმგებლობა.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე, რის გამოც მისი ოპერაციული გარემო გარკვეულწილად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებზე. აღნიშნული რისკების შესამცირებლად კომპანია მუდმივად აკვირდება მაკროეკონომიკურ გარემოს და საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამობის რისკების მინიმიზაციის მიზნით, კომპანია სარგებლობს როგორც შიდა სპეციალისტების, ისე სპეციალიზებული საკონსულტაციო კომპანიების მომსახურებით, რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიულ და საგადასახადო კონსულტაციას.

კომპანიის საქმიანობაზე შესაძლო ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს კიბერუსაფრთხოების რისკებმაც. აღნიშნული რისკების შემცირების მიზნით, კომპანია იყენებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს და თანამშრომლობს კვალიფიციურ სპეციალისტებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციული სისტემების მონიტორინგსა და უსაფრთხოების კონტროლს.

ფინანსური რისკების მართვის კუთხით კომპანია თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ საბანკო ინსტიტუტებთან როგორც საკრედიტო ურთიერთობების, ისე ფულადი სახსრების მოძრაობის მართვის მიმართულებით. კომპანიის ფინანსური პოლიტიკა ორიენტირებულია ლიკვიდურობის შენარჩუნებასა და ფინანსური ვალდებულებების დროულ შესრულებაზე, რაც უზრუნველყოფს სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას.

კომპანია ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ფარგლებში. სავაჭრო მოთხოვნებისა და კონტრაგენტების მუდმივი კონტროლი ხელს უწყობს ფულადი ნაკადების დროულ მიღებას, ამცირებს მაღალი საკრედიტო რისკის მქონე მომხმარებლების არსებობის ალბათობას და უზრუნველყოფს დავალიანებების ეფექტიან მართვას.

2.6. განვითარების გეგმები

კომპანია ორიენტირებულია საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებაზე, ოპერაციული მიმართულებების გაფართოებასა და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული ბიზნესმოდელების დანერგვაზე. კომპანიის სტრატეგიული მიზანია არსებული საქმიანობის გაძლიერება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული ახალი მიმართულებების განვითარება.

კომპანია გეგმავს საქმიანობის ახალი სფეროების ეტაპობრივ ამოქმედებას, მათ შორის საბითუმო ვაჭრობის დაწყებას ალკოჰოლური სასმელებით, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას და სავაჭრო მიმართულების გაძლიერებას. აღნიშნული საქმიანობა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ნებართვების მოთხოვნების სრული დაცვით.

განვითარების გეგმებში ასევე შედის კაფის გახსნა, რომელიც ორიენტირებული იქნება კომპანიის ძირითადი საქმიანობის მიმართულებებთან შინაარსობრივ კავშირზე და მომხმარებელთან უშუალო კომუნიკაციის გაძლიერებაზე. ამასთან, კომპანია გეგმავს საგანმანათლებლო და პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებების, მათ შორის მასტერკლასების ორგანიზებას, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის ექსპერტიზის გაზიარებას და ბრენდის ცნობადობის ზრდას.

კომპანია ასევე გეგმავს ახალი ფილიალების გახსნას და არსებული ოპერაციული შესაძლებლობების გაფართოებას, რაც მოიცავს როგორც სავაჭრო, ისე ლოგისტიკური და ადმინისტრაციული მიმართულებების განვითარებას. აღნიშნული პროცესები მიმართულია კომპანიის საქმიანობის მასშტაბირებისკენ და რეგიონული დაფარვის გაზრდისკენ.

განვითარების გეგმების განხორციელება კომპანიას შესაძლებლობას მისცემს შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, გააძლიეროს ოპერაციული რესურსები და უზრუნველყოს საქმიანობის მდგრადი განვითარება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 17 თებერვალს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

კონსტანტინე ჯღარკავა

.....
შპს „გაგრა+“
დირექტორი

2.6. განვითარების გეგმები

კომპანია ორიენტირებულია საქმიანობის ეტაპობრივ განვითარებაზე, ოპერაციული მიმართულებების გაფართოებასა და თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული ბიზნესმოდელების დანერგვაზე. კომპანიის სტრატეგიული მიზანია არსებული საქმიანობის გაძლიერება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული ახალი მიმართულებების განვითარება.

კომპანია გეგმავს საქმიანობის ახალი სფეროების ეტაპობრივ ამოქმედებას, მათ შორის საბითუმო ვაჭრობის დაწყებას ალკოჰოლური სასმელებით, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას და სავაჭრო მიმართულების გაძლიერებას. აღნიშნული საქმიანობა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და შესაბამისი ნებართვების მოთხოვნების სრული დაცვით.

განვითარების გეგმებში ასევე შედის კაფის გახსნა, რომელიც ორიენტირებული იქნება კომპანიის ძირითადი საქმიანობის მიმართულებებთან შინაარსობრივ კავშირზე და მომხმარებელთან უშუალო კომუნიკაციის გაძლიერებაზე. ამასთან, კომპანია გეგმავს საგანმანათლებლო და პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებების, მათ შორის მასტერკლასების ორგანიზებას, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის ექსპერტიზის გაზიარებას და ბრენდის ცნობადობის ზრდას.

კომპანია ასევე გეგმავს ახალი ფილიალების გახსნას და არსებული ოპერაციული შესაძლებლობების გაფართოებას, რაც მოიცავს როგორც სავაჭრო, ისე ლოგისტიკური და ადმინისტრაციული მიმართულებების განვითარებას. აღნიშნული პროცესები მიმართულია კომპანიის საქმიანობის მასშტაბირებისკენ და რეგიონული დაფარვის გაზრდისკენ.

განვითარების გეგმების განხორციელება კომპანიას შესაძლებლობას მისცემს შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, გააძლიეროს ოპერაციული რესურსები და უზრუნველყოს საქმიანობის მდგრადი განვითარება საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2026 წლის 17 თებერვალს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ:

კონსტანტინე ჯღარკაძე

.....

შპს „გაგრა+“
დირექტორი